სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-1005

ქ. თბილისი

9.09.2014

,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრამდე ჩარიცხულ სტუდენტთათვის 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის ვადების დამტკიცების შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 17 ივლისის №03-685 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის № 605 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის № 134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2014 წლის 17 ივლისის №03-683 ბრძანების:

ა) პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრამდე ჩარიცხულ სტუდენტთა მიერ 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის თაობაზე განცხადებების მიღების ბოლო ვადად განისაზღვროს 2014 წლის 11 სექტემბერი;

ბ) მეორე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის თაობაზე განცხადებების განხილვა და ხელშეკრულებების გაფორმება მოხდეს არაუგვიანეს 2014 წლის 12 სექტემბრისა;

გ) მესამე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. დაევალოთ ფაკულტეტებს, არაუგვიანეს 2014 წლის 15 სექტემბერს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს ფინანსების ადმინისტრირების მიმართულებით, ნიკოლოზ ყაველაშვილს მიაწოდოს იმ სტუდენტთა სია, რომლებიც სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის შესახებ გააფორმებენ ხელშეკრულებას;

2. ფაკულტეტებს დაევალოთ უზრუნველყონ ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის;
3. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე, ირინა ბაზღაძეს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით;
4. უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სამდივნოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე - ირინა ბაზღაძეს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **დავით აფრასიძე**